

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ეივები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ეივიბი
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა		31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	6,175,162	2,796,885
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		-4,168,446	-1,977,463
სულ შემოსავალი		2,006,716	819,422
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		-902,644	-615,887
იჯარა		-13,000	-12,089
ცვეთა და ამორტიზაცია	11	-72,379	-68,202
სხვა საოპერაციო ხარჯები		-564,865	-306,508
საპროცენტო ხარჯი		-58,650	-58,640
სულ საოპერაციო ხარჯები		-1,611,537	-1,061,326
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		395,179	-241,904
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		41,280	257,787
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		-63,437	-115,534
ზარალი დებიტორული დავალიანების ჩამოწერისას			-64,144
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		373,022	-163,796
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		373,022	-163,796

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature of the Chief Accountant.

შპს ეივიზი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვ	31.12.2022	31.12.2023
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	795,850	286,297
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	173,720	252,652
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	959,459	1,332,111
გადახდილი გადასახადები	7	27883	
სხვა მიმდინარე აქტივები (გადახდილი ავანსები)	5	141,269	135,289
ჯამურად მიმდინარე აქტივები		2,098,181	2,006,348
ძირითადი საშვალელები	8	945942	1,102,973
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		945,942	1,102,973
სულ აქტივები		3,044,123	3,109,321
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	57,674	123,530
მიღებული ავანსები	9	1,196,748	673,709
მოკლევადიანი სესხები	9	196,382	387,568
გადასახდელი პროცენტები			
გადასახდელი გადასახადები	9		
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		1,450,804	1,184,807
გრძელვადიანი სესხი	9	486,906	445,080
ჯამური გრძელვადიანი ვალდებულებები		486,906	445,080
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
კაპიტალში შენატანი		48,534	48,534
გაუნაწილებელი მოგება		929,295	1,302,317

გადაფასების რეზერვი

სულ კაპიტალი

128,584

128,584

1106413

1479435

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

3,044,123

3,109,321

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

თ. მ.

შპს ეივიზი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშო ვალუტა ლარი

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
-----------------------	-------------------------	-----------------------------

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთვის

-	1106413	1106413
---	---------	---------


წმინდა მოგება
კაპიტალის დამატება
დივიდენდის განაწილება

373022

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთვის

	1479435	1479435
--	---------	---------

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ეივები

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ეივები“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204568324 (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2009 წლის 14 მაისს.

მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ი.ნიკოლაძის ქ. N3.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

01008022476, ნიკოლოზ ფუტყარაძე 50%

01005020662, დავით ჯაიანი 50%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროფესიონალური აუდიო/ვიდეო აპარატურის, მაუწყებლობის, განათებისა და უსაფრთხოების სისტემების პროექტირება, რეალიზაცია, მიწოდება და მონტაჟი.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსების შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია წარმოდგენილია ასევე ლარში.

უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსი, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას :

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	2.6894
ლარი/ 1 ევრო	2.8844	2.9753

4. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31/12/2022	31/12/2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	233996	50608
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	288229	14469
ნაღდი ფული სალაროში	1970	1240
საბანკო გარანტია	271655	219980
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	795850	286297

5. მიწოდების და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან შედგება ძირითადად იმ თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია კლიენტს გარკვეული სახის მომსახურება ან საქონლის მიწოდება, აღიარა იგი შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ყველა იდენტიფიცირებული უიმედო ვალი ჩამოწერილია შესაბამის საანგარიშო პერიოდში და 2018 წლის დასრულებული პერიოდისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნები აღრიცხულია რეალურად.

კომპანიის მენეჯმენტი არ ახორციელებს მოთხოვნების დარეზერვებას, ვინაიდან დანერგილი კონტროლები უზრუნველყოფს ყველა წაყენებული მოთხოვნის მიღებას.

შენიშვნა 5-მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31/12/2022	31/12/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	173720	252652
გადახდილი ავანსები	169152	135288
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	342872	387940

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის ზედნადებ ხარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე გაუფასურების ტესტირება არ ჩატარებულა.

შენიშვნა 6 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31/12/2022

31/12/2023

სასაქონლო მატერიალური მარაგები	959459	1332111
სულ მარაგები	959459	1332111

7. გადასახადები

საგადასახადო დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და გადახდილია დროულად.

8. ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია საბალანსო ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. აქტივების რემონტის (შეკეთების) ღირებულება განიხილება კაპიტალიზირებად დანახარჯად, მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით და ზრდის აღნიშნული ძირითადი საშუალების ღირებულებას. მიწა და შენობა მოცემულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება წარმოადგენს რეალურ საბაზრო ღირებულებას.

საბაზრო ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ინდიკატორების გამოვლენის შემდგომ კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შენობას (საოფისე) ჩაუტარდა გაუფასურების ტესტირება. კომპანიის მიწა და შენობა ბოლოს შეფასებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება მოხდა გასაყიდი შესაძარისი ფასების, თვითღირებულებით და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომით.

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთა გამოიქვეთება მათი საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

- შენობა-ნაგებობა 40 წელი
- მანქანა-დანადგარები და სხვა საოფისე ტექნიკა 5 წელი
- ავტომობილები 5 წელი
- ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა 5 წელი

9. ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანება

ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება) - საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის საქმიანობის, სამეურნეო/ეკონომიკური მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განიცთებული რესურსების გასვლას საწარმოდან. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც შედგება მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელ თანხისაგან.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ასევე გააჩნია ავანსად მიღებული თანხის შესაბამისად გასაწევი ვალდებულებები.

შენიშვნა 9 - ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან	57674	123530
წარმოქმნილი ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1196748	673709
მოკლევადიანი სესხი	196382	387568
გრძელვადიანი სესხი	486906	445080
საგადასახადო ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	1937710	1629886

კომპანია სარგებლობს მოკლევადიანი სესხით- საკრედიტო ხაზი, რომლის ათვისების ვადა განისაზღვრება 1 წლით. აღნიშნული საკრედიტო ხაზი გამოიყენება საოპერაციო საქმიანობისათვის.

ასევე 2020 წელს კომპანიას გაუჩნდა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული სასესხო ვალდებულება მიიმართა ძირითადი საშვალეების შესაძენად. კერძოდ კომპანიის ბალანსზე ირიცხება საოფისე /კომერციული ფართი. 2021 წელს კომპანიის სასესხო ვალდებულება გაიზარდა რემონტის დანახარჯებით, რისთვისაც გამოყენებული იქნა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი. 2023 წელს კომპანიამ დაიმატა ახალი სასესხო ვალდებულება საბრუნავი საშვალეების შეძენის მიზნით.

10. საოპერაციო მოგება

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, კლიენტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების შემდგომ. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი საქონლის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის, ტრანსპორტირების მის განბაჟებასთან და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს. პერიოდის წმინდა შემოსავალი წარმოადგენს მიღებული საერთო შემოსავლის მეტობას იმავე პერიოდის ხარჯებზე.

შენიშვნა 10 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	6175162	2796885
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(4168446)	(1977463)
სულ შემოსავალი	2006716	819422

11 . ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტში, მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის, იჯარის, კომუნიკაციის, დაზღვევისა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

შენიშვნა 11 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31/12/2023	31/12/2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(902644)	(615887)
იჯარა	(13000)	(12089)
ცვეთა და ამორტიზაცია	(72379)	(68202)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(564865)	(306508)
საპროცენტო ხარჯები	(58650)	(58640)

12. კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას. ასევე კომპანიას საოფისე ფართის გადაფასების შედეგად გაუჩნდა გადაფასების რეზერვი. კომპანიის დამფუძნებლებისთვის დივიდენდის განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით იმ პერიოდში როდესაც დივიდენდს ამტკიცებს კომპანიის დამფუძნებლები.

13. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, როგორებიცაა სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული:

13.1 სავალუტო რისკი

კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა, რომელიც განკუთვნილია საქონლის შესაძენად, ძირითადად ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. სავალუტო რისკი წარმოიშობება ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში გაცვლითი კურსის მერყეობით. დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსის მერყეობამ კომპანიაში წარმოშვა ფინანსური ზარალი საკუროს სხვაობიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მენეჯმენტის მითითებით სავალუტო კურსების დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია საქონლისა და მომსახურების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო კურსების სხვაობით წარმოქმნილ ზარალს.

13.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს ზარალის მიღების რისკს, დებიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მენეჯმენტის მიერ დანერგილი პოლიტიკა გულისხმობს საკრედიტო ზარალების მინიმიზაციას, რომლის მიხედვითაც ხდება შესაძლებლობის ფარგლებში სავაჭრო პარტნიორის გადახდისუნარიანობის წინასწარი კვლევა და გადახდის პირობების შესაბამისად ჩამოყალიბება. ასევე ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს ხდება არსებული დავალიანებების იდენტიფიცირება და შესაბამისი მოთხოვნების გენერირება.

13.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებაზე. კომპანიაში დანერგილია პოლიტიკა, რის მიხედვითაც ხდება ფინანსური ნაკადების პროგნოზირება და მონიტორინგი კომპანიის ხელმძღვანელობისა და ფინანსური განყოფილების მიერ. ასევე, კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულისა და მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივების ფლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამის ფულადი სახსრები კომპანიის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.